

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის

### იურიდიული სამსახურის ანგარიში

#### გაწეული მუშაობის შესახებ

(2016 წლის 1 იანვრიდან - 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით)

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახური „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს N2 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-10 მუხლის საფუძველზე შექმნილია 2014 წლის 2 აგვისტოდან. სამსახურის ძირითადი ფუნქციაა გამგეობის თანამდებობის პირების საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა, მათი მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, სამართლებრივი ექსპერტიზა და ვიზირება; არქიტექტურულ-სამშენებლო, გარე რეკლამის განთავსების, გარე ვაჭრობის, ავტოტრანსპორტის პარკირებისა და სხვა სფეროში შესაბამისი ზედამხედველობის განხორციელება და საქართველოს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-ს დამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირების მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება; მუნიციპალიტეტის კანონიერი ინტერესების (მინდობილობის ფარგლებში) დაცვა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად.

სამსახური შედგება სამსახურის უფროსისა და სტრუქტურული ქვედანაყოფის - განყოფილებებისაგან. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია: სამართლებრივი ექსპერტიზისა და სასამართლოსთან ურთიერთობის განყოფილება და ზედამხედველობის განყოფილება.

აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში:

1. სამართლებრივი ექსპერტიზისა და სასამართლოსთან ურთიერთობის განყოფილების მიერ შესრულდა შემდეგი სახის სამუშაოები:

ა) შედგენილი იქნა სულ 3563 სამართლებრივი აქტი, აქედან: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2882 ბრძანების პროექტი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილის 96 ბრძანების პროექტი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის 585 ბრძანების პროექტი.

გ) შემუშავებული იქნა 23 ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის პროექტი, რომელიც განსახილველად წარედგინა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს;

დ) შედგენილი იქნა სხვადასხვა სახის 205 ხელშეკრულების პროექტი.;

ე) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სახელით მონაწილეობა მივიღეთ 3 სამოქალაქო საქმის, 5 ადმინისტრაციული საქმის სასამართლო განხილვაში, რომლებზეც ჩვენს მიერ

შედგენილი იქნა (შესაგებლები) და შესრულებული იქნა ყველა საპროცესო მოქმედებები, ასევე განყოფილების წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე სააღსრულებო ბიუროს მიერ გაცემული იქნა სააღსრულებო ფურცელი კანონიერ ძალაში შეული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის.

#### **აღნიშნული საქმეებიდან:**

ა) 3 სამოქალაქო საქმიდან 2 სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ იქნა მიღებული, ხოლო ერთი საქმის განხილვა ჯერ არ დასრულებულა.

5 ადმინისტრაციული საქმიდან 2 საქმეზე გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ იქნა მიღებული, ერთი საქმე დასრულდა მორიგებით, ხოლო 2 საქმის განხილვა ჯერ არ დასრულებულა.

ბ) სამ საქმეზე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაცემულია სააღსრულებო ფურცელი და მიმდინარეობს სააღსრულებო საქმის წარმოება.

გ) განხილული იქნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, განყოფილების სფეროს მიკუთვნებული, შემოსული განცხადებები და ყველა მათგანზე მომზადდა წერილობითი პასუხი.

დ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლების გამცემი მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის სახელით მომზადდა: 23 სხდომის ოქმი, 184 გამარჯვების ოქმი, 182 ხელშეკრულება, 169 აქტი და 162 საკუთრების მოწმობა.

#### **2. ზედამხედველობის განყოფილების მიერ შესრულდა შემდეგი სახის სამუშაოები:**

ა) საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს შესაბამისად სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოების პროცესში ზედამხედველობის განყოფილებამ გამოავლინა 36 სამშენებლო სამართალდარღვევა, რის თაობაზეც გამოიცა შესაბამისი სამართლებრივი აქტი სანებართვო პირობებისა და საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევისათვის ფიზიკური ან/და იურიდიული პირის დაჯარიმების თაობაზე;

ბ) ექსპლუატაციაში იქნა მიღებული მშენებლობა დასრულებული 79 ობიექტი რის თაობაზეც შედგა შესაბამისი შემოწმების აქტები და გამოიცა გამგებლის მოადგილის სამართლებრივი აქტი მშენებლობა დასრულებული ობიექტი ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებით;

გ) „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-ს თანახმად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების პროცესში გამოვლენილი იქნა 7

ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და სახელმწიფო მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავებასთან და გზის საფარის დანაგვიანებისათვის დაჯარიმდნენ ავტოსატრანსპორტო საშუალების და მიწის ნაკვეთის უნებართვოდ მფლობელი ფიზიკური პირები.

დ) მიწის ნაკვეთების უნებართვოდ დაკავებასთან დაკავშირებით განხილული იქნა 8 მოქალაქის განცხადება, რაზედაც განყოფილების მიერ გაიცა შესაბამისი მითითებები და გაფრთხილებები;

ე) განხილული იქნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, განყოფილების სფეროს მიკუთვნებული, შემოსული განცხადებები და ყველა მათგანზე „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა გათვალისწინებით მომზადდა წერილობითი პასუხები და გატარდა შესაბამისი ღონისძიებები.

3. გარდა ზემოთაღნიშნულებისა იურიდიული სამსახური სახელმწიფოსაგან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ჩართულია, „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების და „პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 23 ივნისის №139 ბრძანებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად, პირის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის საქმიანობაში. აღნიშნული საქმიანობიდან სამსახურის მიერ მომზადდა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების ფაქტის დადგენის შესახებ“ კომისიის 4 განკარგულება და შესაბამისი ცნობები/ოქმები, რომლის საფუძველზეც იმ პირებს რომლებსაც არ ჰქონდათ მიღებული საქართველოს მოქალაქეობა და საქართველოში ცხოვრობდნენ ჯამში არანაკლებ 5 წლის განმავლობაში, 1993 წლის 31 მარტისთვის იმყოფებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე და არ მიუღიათ სხვა ქვეყნის მოქალაქეობა, დაუდგინდათ საქართველოს მოქალაქეობა.

ასევე, სამსახური მონაწილეობს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის საქმიანობაში.

**პატივისცემით,**

**ლაშა თავაძე**

**იურიდიული სამსახურის უფროსი**